დანართი N1

სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ცნობილი საზოგადო მოღვაწისა და პოლიტიკოსის, ქართული დიპლომატიის თვალსაჩინო წარმომადგენლის, ქართული უნივერსიტეტის დამფუძნებელი საზოგადოების თავმჯდომარის, აკაკი ჩხენკელის, სახელობის სტიპენდიის მინიჭების წესი

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში (შემდგომში - „უნივერსიტეტი“) **ცნობილი საზოგადო მოღვაწისა და პოლიტიკოსის, ქართული დიპლომატიის თვალსაჩინო წარმომადგენლის, ქართული უნივერსიტეტის დამფუძნებელი საზოგადოების თავმჯდომარის, აკაკი ჩხენკელის,** სახელობის სტიპენდია (შედგომში - ,,სტიპენდია“) ყოველწლიურად ენიჭება უნივერსიტეტის ძირითადი საგანმანათლებლო ერთეულების (შემდგომში - ,,ფაკულტეტი“) ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამის ერთ სტუდენტს.

2. სტიპენდიის დაწესების მიზანია საბაკალავრო პროგრამის სტუდენტთა წახალისება, აკაკი ჩხენკელის მოღვაწეობის პოპულარიზება.

მუხლი 2. სტიპენდიის მინიჭების პირობები

1. სტიპენდია გაიცემა წინა სასწავლო წლის შედეგების გათვალისწინებით და კონკურსის წესის საფუძველზე ენიჭება იმ სტუდენტს, რომელიც გამოირჩევა განსაკუთრებული აკადემიური და სამეცნიერო მიღწევებით.

2. ერთსა და იმავე პირს სტიპენდია შეიძლება მიენიჭოს მხოლოდ ერთხელ.

3. სტიპენდია არ გაიცემა:

ა) ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამის პირველი და მეორე სემესტრის სტუდენტზე;

ბ) დამატებითი სემესტრის სტუდენტზე;

გ) სტიპენდიის მინიჭების წელს მობილობით გადმოსულ სტუდენტზე;

დ) წინა კალენდარულ სემესტრებში სტატუსშეჩერებულ სტუდენტზე;

ე) სტიპენდიის მინიჭების წელს სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის/შეჩერების შემთხვევაში (ასეთ ვითარებაში უნივერსიტეტი უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება გაუცემელი თანხის სხვა სტუდენტისთვის სტიპენდიის სახით დანიშვნის თაობაზე);

ვ) სტუდენტზე, რომლის ჯამური (საერთო) GPA ნაკლებია 3.5-ზე.

მუხლი 3. სტიპენდიატის შერჩევის წესი

1. სტიპენდიით დაფინანსებისათვის კანდიდატთა შერჩევას ახორციელებს სტიპენდიის მიმნიჭებელი კომისია. კომისიის წევრებს წარადგენენ უნივერისტეტის ფაკულტეტების დეკანები. კომისია მტკიცდება რექტორის ბრძანებით.

2. კანდიდატთა შეფასება მოხდება:

ა) აკადემიური მოსწრებით (გამოითვლება სტუდენტის მიერ უნივერსიტეტში წინა 2 კალენდარულ სემესტრში სასწავლო კურსებში მიღებული შეფასების საშუალო არითმეტიკული გამოანგარიშებით);

ბ) სამეცნიერო ნაშრომით/ნაშრომებით (გამოქვეყნებული/დასაბეჭდად გადაცემული სტატია სამეცნიერო ჟურნალში სამეცნიერო კონფერენციის თეზისებში/მასლებში/სამეცნიერო

კონფერენციაში/კონფერენციებში მონაწილეობით).

3. კანდიდატების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების ამ მუხლის მე-2 პუნქტის ,,ა“ და ,,ბ“ ქვეპუნქტებთან შესაბამისობისა და სტიპენდიის გაცემის თაობაზე დასკვნას ამზადებს კომისია.

4. სტიპენდიის მოსაპოვებლად კონკურსი ცხადდება უნივერსიტეტის რექტორის ბრძანებით.

5. სტიპენდია ინიშნება მე-3 მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული კომისიის წარდგენის საფუძველზე ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ბრძანებით.

6. სტიპენდია გაიცემა ყოველთვიურად, სასწავლო წლის განმავლობაში (10 თვე), 300 ლარის ოდენობით (საშემოსავლო გადასახადის ჩათვლით).

მუხლი 4. დასკვნითი დებულებები

1. იმ პროცედურულ საკითხებზე, რომლებიც გათვალისწინებული არ არის წინამდებარე წესით, გადაწყვეტილების მიღების უფლებამოსილება აქვს სტიპენდიის მიმნიჭებელ კომისიას.

2. კომისია უფლებამოსილია ხსენებული გადაწყვეტილებები, საჯაროდ გაცნობის მიზნით, გამოაქვეყნოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.